



ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

შპს „სითი გრუფ“
ID: 205285092

სარჩევი:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5

შპს "სითი გრუფ" 205285092

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის
დასრულებული წლისათვის (ლარში)

	<u>31.12.2022</u>	<u>31.12.2021</u>	<u>31.12.2020</u>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	389,465	349,942	423,924
არამატერიალური აქტივები	6,494	6,494	6,494
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	395,959	356,436	430,418
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	29,763	9,331	62,872
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	64,393	55,126	11,827
მარაგები	502,871	390,856	364,224
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	0	0
გაცემული სესხები	0	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	597,027	455,314	438,922
<u>სულ აქტივები</u>	<u>992,986</u>	<u>811,750</u>	<u>869,341</u>
-	-	-	-
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	811,239	811,239	811,239
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(764,155)	(1,381,385)	(1,838,018)
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სულ კაპიტალი	47,083	(570,146)	(1,026,780)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	344,110	691,881	1,262,700
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	344,110	691,881	1,262,700
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დამფუძნებლის გრძელვადიან ვალდებულებაზე	343,783	532,293	488,875
დარიცხული პროცენტი			
მოკლევადიანი სესხები	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	314,973	59,913	114,877
საგადასახადო ვალდებულებები	(56,964)	97,809	29,668
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	601,793	690,016	633,420
სულ ვალდებულებები	945,903	1,381,896	1,896,120
<u>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</u>	<u>992,986</u>	<u>811,750</u>	<u>869,341</u>
	TRUE	TRUE	TRUE

შპს "სიტი გრუპ" 205285092

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის (ლარში)

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	389,465	349,942	423,924
არამატერიალური აქტივები	6,494	6,494	6,494
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	395,959	356,436	430,418
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	29,763	9,331	62,872
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	64,393	55,126	11,827
მარაგები	502,871	390,856	364,224
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	0	0
გაცემული სესხები	0	0	0
სულ მოკლევადიანი აქტივები	597,027	455,314	438,922
სულ აქტივები	992,986	811,750	869,341
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	811,239	811,239	811,239
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(764,155)	(1,381,385)	(1,838,018)
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სულ კაპიტალი	47,083	(570,146)	(1,026,780)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	344,110	691,881	1,262,700
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	344,110	691,881	1,262,700
მოკლევადიანი ვალდებულებები			
დამფუძნებლის გრძელვადიან ვალდებულებაზე	343,783	532,293	488,875
დარიცხული პროცენტი	0	0	0
მოკლევადიანი სესხები	0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	314,973	59,913	114,877
საგადასახადო ვალდებულებები	(56,964)	97,809	29,668
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	601,793	690,016	633,420
სულ ვალდებულებები	945,903	1,381,896	1,896,120
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	992,986	811,750	869,341
	TRUE	TRUE	TRUE

გენერალური დირექტორი: / ჯემალ ბაღათურიძე /

ფინანსური დირექტორი: / ნინო ოლაძე /



შპს "სითი გრუფ" 205285092

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის
დასრულებული წლისათვის (ლარში)

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	4,380,537	2,905,969	2,105,128
თვითღირებულება	(1,327,107)	(901,269)	(492,597)
საერთო მოგება	<u>3,053,430</u>	<u>2,004,700</u>	<u>1,612,531</u>
სხვა შემოსავლები	1,377	35,443	30,884
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,196,628)	(1,432,767)	(1,510,492)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	(24,436)	(30,057)	(40,069)
სხვა ხარჯები	(630)	(36,311)	(7,695)
საოპერაციო მოგება	<u>833,113</u>	<u>541,008</u>	<u>85,159</u>
ფინანსური შემოსავალი	0	0	0
ფინანსური ხარჯი	(39,084)	(124,841)	(110,259)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	14,841	64,471	0
მოგება დაბეგვრამდე	808,870	480,638	(25,100)
მოგების გადასახადი	0	0	0
წმინდა მოგება	808,870	480,638	(25,100)
სხვა სრული შემოსავალი:	0	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი	808,870	480,638	(25,100)

შპს "სითი გრუპ" 205285092

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის
დასრულებული წლისათვის (ლარში)

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	4,380,537	2,905,969	2,105,128
თვითღირებულება	(1,327,107)	(901,269)	(492,597)
საერთო მოგება	3,053,430	2,004,700	1,612,531
სხვა შემოსავლები	1,377	35,443	30,884
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,196,628)	(1,432,767)	(1,510,492)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	(24,436)	(30,057)	(40,069)
სხვა ხარჯები	(630)	(36,311)	(7,695)
საოპერაციო მოგება	833,113	541,008	85,159
ფინანსური შემოსავალი	0	0	0
ფინანსური ხარჯი	(39,084)	(124,841)	(110,259)
წმინდა საგადასახადო ზარალი/მოგება	14,841	64,471	0
მოგება დაბეგრამდე	808,870	480,638	(25,100)
მოგების გადასახადი	0	0	0
წმინდა მოგება	808,870	480,638	(25,100)
სხვა სრული შემოსავალი:	0	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი	808,870	480,638	(25,100)

გენერალური დირექტორი: / ჯემალ ბაღათურიძე /

ფინანსური დირექტორი: / ნინო ოლაძე /



შპს "სითი გრუფ" 205285092

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის
დასრულებული წლისათვის (ლარში)

	<u>საწესდებო კაპიტალი</u>	<u>გადაფასების რეზერვი</u>	<u>გაუნაწილებელი მოგება</u>	<u>მთლიანი კაპიტალი</u>
2021 წლის 31	811,239	0	(1,381,385)	(570,146)
დეკემბერი				
წმინდა მოგება			0	0
სხვა სრული შემოსავალი				0
<u>პერიოდის სრული შემოსავალი</u>	811,239	0	808,870	(1,026,780)
გაცემული დივიდენდი				
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
<u>2022 წლის 31</u>	811,239	0	(764,155)	47,083
<u>დეკემბერი</u>				

შპს "სითი გრუპ" 205285092

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის
დასრულებული წლისათვის (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მილიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	811,239	0	(1,381,385)	(570,146)
წმინდა მოგება			0	0
სხვა სრული შემოსავალი				0
პერიოდის სრული შემოსავალი	811,239	0	808,870	(1,026,780)
გაცემული დივიდენდი				
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2022 წლის 31 დეკემბერი	811,239	0	(764,155)	47,083



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სითი გრუფ“ დაარსდა 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და 2012 წლიდან დღემდე მის საქმიანობას წარმოადგენს პურის, ნამცხვრების, ფქვილოვანი და საქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია სპეციალიზირებულ მაღაზიებში. ასევე რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები. შპს „სითი გრუფ“-ის 100% წილის მფლობელია საქართველოს მოქალაქე ჯემალ ბაღათურია.

შპს „სითი გრუფ“-ის რეგისტრირებული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. აბაშიძის ქ., #42, ბ. #13.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 98 თანამშრომელს (2020 -78).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“- ფარგლებში).

საზოგადოება ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

მას 2018 წლის 1 იანვრამდე საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მოზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას საზოგადოების საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები რომლებშიც ასახულია ფინანსური

ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები, დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას, კომპლექსურ მიდგომებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია ლარებში დამრგვალებული უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ამზადებდა საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას ხელმძღვანელობისა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის კომპანიის შეფასებისა და ანალიზის მიზნით, თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს პირველ ანგარიშგებას, მომზადებულს მსს ფასს შესაბამისად. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ,

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3.4 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან ნაკლებს შეადგენს.

3.5 სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურეობის გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა ავტომობილის სათადარიგო ნაწილები აგრეთვე აღიარდება სასაქონლო-მატერიალურ მარაგად მანამ, სანამ არ მოხდება მათი ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზაცია. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულებების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როდესაც ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხება ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომელიც გამიზნულია წარმოებისათვის, გასაქირავებლად ან მიზნებისათვის, რომლებიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გასვლიდან ან ჩამოწერიდან განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების, ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად. კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება, მომავალში ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისათვის განსაზღვრული სესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	10-15 წელი
მოწყობილობა-დანადგარები	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი	5-10 წელი
ავეჯი	5-7 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 8-10 წელი

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს

ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზარდა იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.10 სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საზოგადოების ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი საზოგადოებას არ გააჩნია უპირობო უფლება

აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

3.12 სესხები პარტნიორებისაგან

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება. სესხების შემდგომი ამორტიზირებული ხარჯი - საპროცენტო ხარჯი აღიარდება რთული პროცენტის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯში. პარტნიორის სესხზე არ ხდება სესხების ეფექტური % განაკვეთით ამორტიზაცია, რადგან შეუძლებელია კონკრეტული თარიღის განსაზღვრა ფულადი ნაკადების გადინებისათვის, რომელიც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი საზოგადოებას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულებების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

3.13 იჯარა

იჯარა ფინანსურად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მისი პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საზოგადოებისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.14 საკუთარი კაპიტალი

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ოდენობა საზოგადოების წესდებით განისაზღვრება. წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება) მხოლოდ საზოგადოების მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

3.15 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

3.16 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო

კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა საზოგადოების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვეო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი ე.წ. „ესტონური“ მოდელის მიხედვით, საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის

მიხედვით, საზოგადოების მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა, მიუხედავად იმის ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.17 დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

საზოგადოების მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ს თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, საზოგადოების მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.18 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებლები საზოგადოების მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც საზოგადოების თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული, ხოლო ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებების, ბიულეტენების შემთხვევაში როდესაც საზოგადოების თანამშრომელი ისარგებლებს ამ უფლებით. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოების მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

3.19 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. თუმცა 2012 წლიდან 2021 წლის საანგარიშო პერიოდის დასრულებისათვის კომპანიას დივიდენდი არ გამოუცხადებია მაღალი ფინანსური ზარალის გამო.

3.20 ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება საზოგადოების იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

შენიშვნა #1

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	1,173	1,050
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22,511	8,017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6,080	228

ფული და ფულის ეკვივალენტები Total	29,763	9,295
--	---------------	--------------

შენიშვნა #2

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები		
მოთხოვნები ბანკებიდან	20420	24,890
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2400	46,958
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	40,661	(18,148)
სავაჭრო მოთხოვნები Total	63,481	53,700

შენიშვნა #4

ძირითადი საშუალებები		
ავეჯი და სხვა ინვენტარი	171,066	168,094
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	(188,222)	(187,963)
ინვენტარი	40,105	39,903
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	396,651	391,934
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა	(289,321)	(289,321)
კავშირგაბმულობის მოწყობილობანი	18,323	17,445
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობანი	17,375	12,636
მანქანა-დანადგარები	13,131	485
ოფისის აღჭურვილობა	107,150	106,506
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	(76,519)	(76,519)
სატრანსპორტო საშუალებები	38,195	27,428
სატრანსპორტო საშუალების ცვეთა	(24,724)	(24,724)
საწარმოო დანადგარები	109,240	106,616
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	55,837	55,837
ძირითადი საშუალებების მარაგები	1,178	466
ძირითადი საშუალებები Total	389,465	348,822

შენიშვნა #5

სხვა არამატერიალური აქტივები		
ლიცენზიების ამორტიზაცია	(18,428)	(18,428)
პატენტები	712	712
პატენტების ამორტიზაცია	(636)	(636)
პროგრამული უზრუნველყოფები	24,847	24,847
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(3,432)	(3,432)
სხვა არამატერიალური აქტივი	3,432	3,432
სხვა არამატერიალური აქტივები Total	6,494	6,494

შენიშვნა #6

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
კომპიუტერის ხარჯები	297	-
კომუნალური ხარჯები	1,098,165	384,358
კომუნიკაციის ხარჯები	13,530	5,871
მიწოდების სხვა ხარჯები	2,640	1,613
რეკლამის ხარჯები	24,646	21,585
რემონტი	1,078	-
საბანკო მომსახურება	46,746	32,393
საკონსულტაციო ხარჯები	15,419	8,876
საოფისე ინვენტარი	8,988	5,941
სახარჯი	43,574	38,085
სოციალური დანარიცხები	18,484	8,453
სხვა საერთო ხარჯი	10,281	3,860
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	27,207	6,859
ჩამოსაწერი პროდუქცია	16,619	8,989
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი Total	1,327,673	526,883

4. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

4.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

4.2 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). საზოგადოება აღარ აღიარებს მოგების გადასახადთან დაკავშირებულ გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საზოგადოებას არ აქვს აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წელს მიღებული მოგებიდან მოგების გადასახადის ვალდებულება. ღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იზეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ასევე შეღავათიანი დაბეგვრის

რეჟიმის მქონე ქვეყანაში დარეგისტრირებული პირებისათვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტებზე გაცემული სესხები დაუყოვნებლივ ექვემდებარება დაბეგვრას. თუმცა აღნიშნული სესხის დაბრუნების ან ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების (ან ავანსის დაბრუნების) შემდეგ, საზოგადოებას შესაბამისი დეკლარირების გზით შეუძლია ამ ოპერაციებზე გადახდილი (დეკლარირებული) მოგების გადასახადის ჩათვლა. ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, საზოგადოების მიერ აისახება „სხვა საოპერაციო ხარჯებში“ და არ მიეკუთვნება საანგარიშო მუხლს - „მოგების გადასახადი“